

სამონადირეო მეურნეობა შპს „ჰანტინგ ტურ ჯორჯია“-ს შაჰნის ეკოსისტემის ღახასიათება

ვასილ ღლიღვაშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სამონადირეო მეურნეობის „ჰანტინგ ტურ ჯორჯია“-ს ტერიტორიაზე არსებულ მობინადრე ცხოველების, ფრინველების და რეფტილიების რაოდენობის და მათი მდგრადი შენარჩუნება-განვითარების შესწავლის საკითხზე. მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებულ საკითხთა კომპლექსური შესწავლის მიზნით 2021 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სამონადირეო მეურნეობის „ჰანტინგ ტურ ჯორჯია“-ს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება (მემორანდუმი), რომლის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტის ბიზნესის, მენეჯმენტის, ტურიზმის და სხვ. მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო კვლევა-შესწავლაში ჩართვა.

დასკვნის სახით მითითებულია, რომ პროცესების სწორი წარმოება უზრუნველყოფს ამ ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების მდგრად განვითარებას, რაც შექმნის სამონადირეო-სათევზაო საერთაშორისო ტურიზმის აქტიური განვითარების პერსპექტივას.

ცნობილია, რომ მსოფლიო გარემო განიცდის დიდ ზეწოლას ადამიანის ზემოქმედების გამო. ამდენად დღეისათვის ცხოველური სამყაროს ძალიან ბევრი სახეობა გადაშენდა, ხოლო ბევრიც გადაშენების პირას დგას. მათი გადარჩენის მიზნით იქმნება ე.წ. „წითელი ნუსხები“ სადაც თავმოყრილია გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარი ცხოველები და მიმდინარეობს მათი დაცვის ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთა რეგულაციაში უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებული როლი სამონადირეო მეურნეობების სწორად განვითარებას დაეკისრა. ასე მაგალითად აფრიკაში ბევრი მეცხოველეობის (მესაქონლეობის) საწარმოო ფერმა სამონადირეო ტურიზმის ობიექტად გადაკეთდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბრაკონიერების მიერ მოკლული ცხოველების რიცხვი, ხოლო მოწესრიგებულმა სატროფო ნადირობამ ხელი შეუწყო გარეულ ცხოველთა ბუნებრივ არეალში მდგრად და ეფექტურ გამრავლებას.

ამდენად, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს სწორად დაგეგმილი და განვითარებული სამონადირეო მეურნეობა ხდება ბუნებრივი ეკოსისტემების გადარჩენის ერთ ერთ ალტერნატიულ გზად, რაც აგრეთვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საქართველოს ბიორესურსების სარგებლობის საკითხშიც. ასეთი მეურნეობების და საერთაშორისო სამონადირეო-სათევზაო ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვან სარგებელს იჩენს, როგორც ეკოსისტემების მდგრადი განვითარების მხრივ, ასევე როგორც სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით.

მიუხედავად სანადირო მეურნეობების არსებობისა დღეისათვის საქართველოში ასეთი ინფრასტრუქტურების განვითარება საწყის ეტაპზეა და საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად ადგილზე საკითხთა სიღრმისეულ შესწავლაც იქნება აუცილებელი.

ამდენად 2021 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სამონადირეო მეურნეობის „ჰანტინგ ტურ ჯორჯია“-ს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება (მემორანდუმი), რომლის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტის ბიზნესის, მენეჯმენტის, ტურიზმის მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სამონადირეო-სათევზაო ტურიზმის თავისებურებებს გაცნობა, სანადირო

მეურნეობის წარმოების და მართვის პრინციპებს, სანადირო მეურნეობაში ბიომრავალფეროვნების და ბიოეკოსისტემების განვითარების პრინციპებს, ორგანიზებული ნადირობისათვის და ტურისტების მოზიდვის მიზნით მიმზიდველი სამონადირო-სათევზაო გარემოს შექმნასა და მოზიდული ტურისტებისათვის სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციული და თანამედროვე მომსახურების უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვცნობიერება.

ამასთან ერთად უნივერსიტეტი მეურნეობას გაუწიოს კონსულტაციებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და განახორციელებს მონიტორინგს ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემების დაცვის, აგრო-სამეურნეო ღონისძიებების, მენეჯმენტის და ბიზნესადმინისტრირების კუთხით.

აგრეთვე მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი სასწავლო კურსების სტუდენტებისათვის, მეურნეობასთან შეთანხმებით, შედგება შესაბამისი ვიზიტების გეგმა. სამონადირო-სათევზაო ტურიზმის ეფექტური მენეჯმენტის და ტურისტების მოზიდვისათვის, მონადირეთა და მეთევზეთა კლუბ „ლეგიონთან“ ერთად სტუდენტები გაეცნობიან საქართველოს კანონით განსაზღვრული გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის თავისებურებას, სანადირო ობიექტების ქცევათა თავისებურებას, ნადირობის ვადების, ნადირობის კვოტებს და უსაფრთხო ნადირობის პრინციპებს.

ჩამოთვლილი ღონისძიებების ეფექტური წარმოებისათვის საწყის ეტაპზე განხორციელდა სამონადირო მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული ფაუნის სახეობათა რაოდენობის და საარსებო არეალის შესწავლა. როგორც მონაცემები ცხადყოფს სახეობებიდან გვხვდება, როგორც აბორიგენი, ასევე გადამფრენი, ადგილმონაცვლე, მოზამთრე/მოზუდარი, მობინადრე/ნომადური ცხოველები, მათი მდგომარეობა დღეის მდგომარეობით დამაკმაყოფილებელია.

სამონადირო მეურნეობის ბიოსისტემაში ასახულია შემდეგი სახის ფაუნა:

- ✓ ძუძუმწოვრების 20 სახეობა;
- ✓ ფრინველების 49 სახეობა;
- ✓ რეპტილიების 3 სახეობა;
- ✓ ამფიბიების 1 სახეობა;
- ✓ თევზების 1 სახეობა.

ფრინველთაგან, რომლებიც სამონადირო მეურნეობის ტერიტორიაზე გვხვდება:

- ✓ მობინადრეა 20 სახეობა;
- ✓ გადამფრენი 23 სახეობა;
- ✓ მობინადრე/ნომადური - 2 სახეობა;
- ✓ მობინადრე/მომთაბარე - 3 სახეობა;
- ✓ გადამფრენი/მომთაბარე - 1 სახეობა.

საქართველოს “წითელი ნუსხის” სახეობებიდან გვხვდება:

- ✓ თევზების 1;
- ✓ ფრინველების 1;
- ✓ ძუძუმწოვრების 3.

ძუძუმწოვრების სახეობათა ჩამონათვალი მოტანილია ცხრილში 1.

ძუძუმწოვრები (Mammalia)

№	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1	მურა დათვი	Ursus arctos	წითელი ნუსხა
2	კურდღელი	Lepus europaeus	
3	ტყის კატა	Felis silvestris	
4	მგელი	Canis lupus	
5	მელა	Vulpes vulpes	
6	აღმოსავლეთევეროპული ზღარბი	Erinaceus concolor	
7	დედოფალა, სინდიოფალა	Mustela nivalis	
8	სახლის თაგვი	Mus musculus	
9	ჩვეულებრივი მემინდვრია	Microtus arvalis	
10	მინდვრის თაგვი	Apodemus agrarius	
11	სტეპის თაგვი	Apodemus fulvipectus	
12	მცირე თაგვი	Apodemus uralensis	
13	ძილგუდა	Glis glis	
14	ჩვეულებრივი ღამურა	Vespertilio murinus	
15	შველი	Capreolus capreolus	
16	მაჩვი	Meles meles	
17	კავკასიური ციყვი	Sciurus anomalus	წითელი ნუსხა
18	კავკასიური თხუნელა	Talpa caucasica	
19	კლდის კვერნა	Martes foina	
20	ფოცხვერი	Lynx lynx	წითელი ნუსხა

ფრინველთა სამყაროს სახეობები მოტანილია ცხრილი 2-ში.

ფრინველები (Aves)

სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების შეფასება. არსებული მდგომარეობის შეფასებისათვის მოხდა სავარგულების იდენტიფიცირება სანადირო ცხოველების თითოეული სახეობისათვის შესაფერის და არაშესაფერის საბინადრო ტერიტორიებად.

სავარგულის ფართობების იდენტიფიცირება სანადირო ცხოველების თითოეული სახეობისათვის შესაფერის და არაშესაფერის საბინადრო ტერიტორიებისთვის განხორციელდა სატყეო მიწების ფონდში - ტყის ტიპების მიხედვით. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილია ტყეებით, ბუჩქნარებით, მეორადი მდელოებით.

№	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	ფრინველის ყოფნის ხასიათი	შენიშვნა
1	შავი კოდალა	Dryocopus	მობინადრე	
2	მთის მწყერჩიტა	Anthus spinoletta	გადამფრენი	
3	შავი ბოლოცეცხლა	Phoenicurus	გადამფრენი	
4	ჩვეულებრივი გვრიტი	Streptopelia	გადამფრენი	
5	გულიო (ან გვიძინი)	Columba oenas	გადამფრენი	
6	შოშია	Sturnus vulgaris	მობინადრე	
7	მიმინო	Accipiter nisus	მობინადრე/ზამთარში მომთაბარე	
8	ალკუნი	Alcedo atthis	მობინადრე	
9	ჭინჭრაქა (ღობემძვრალა)	Troglodytes troglodytes	მობინადრე	
10	გულწითელა	Erithacus	გადამფრენი	
11	კავკასიური როჭო	Tetrao mlokosiewiczzi	მობინადრე	წითელი ნუსხა
12	ჭვინტა (მეკანაფია)	Linaria cannabina	მობინადრე	
13	ტყის ქათამი	Scalopax rusticola	გადამფრენი	
14	ქედანი	Columba	გადამფრენი	
15	გუგული	Cuculus canorus	გადამფრენი	
16	ბოლოკარკაზი	Pernis apivorus	გადამფრენი	
17	შავშუბლა ღაჭო	Lanus minors	გადამფრენი	
18	მოლალური	Oriolus oriolus	გადამფრენი	
19	მწვანე კოდალა	Picus viridis	მობინადრე	
20	მოყვითალო გრატა	Emberiza	მობინადრე/	
21	სკვინჩა (ნიბლია)	Fringilla coelebs	მობინადრე	
22	კლდის გრატა	Emberiza cia	მობინადრე	
23	ყაპყაპი	Caracias garrulus	გადამფრენი	
24	ოქროსფერი	Merops apiaster	გადამფრენი	
25	ოფოფი	Upupa epops	გადამფრენი	
26	ნამგალა	Apus apus	გადამფრენი	
27	კლდის მერცხალი	Ptypnoprogne	გადამფრენი	
28	სოფლის მერცხალი	Hirundo rustica	გადამფრენი	
29	ჩვეულებრივი	Sitta europaea	მობინადრე	
30	ყორანი	Corvus corax	მობინადრე	
31	ჩიკვი (ჭაფარა)	Garrulus	მობინადრე	
32	ჩხართვი	Turbus viscivorus	გადამფრენი/	
33	შაშვი	Turbus merula	მობინადრე	
34	ჩვეულებრივი ღაჭო	Lanius collurio	გადამფრენი	
35	მინდვრის ბედურა	Passer montanus	მობინადრე	
36	ტყის ტოროლა	Lullula Arborea	გადამფრენი	

37	კაჭკაჭი	Pica pica	მობინადრე	
38	დიდი წივნივა (დიდი წინკანა)	Parus major	მობინადრე	
39	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	Phoenicurus phoenicurus	გადამფრენი	
40	რუხი ბოლოქანქარა	Motacilla cinorea	გადამფრენი	
41	ნარჩიტა, ნიბლია	Carduelis	მობინადრე	
42	სტვენია	Pyrrhula pyrrhula	მობინადრე/	
43	ტყის ბუ	Strix aluco	მობინადრე	
44	წყრომი	Otus scops	მობინადრე	
45	რქოსანი ტოროლა	Eremophila	მობინადრე/	
46	ჩვეულებრივი კოჭობა	Carpodacus	გადამფრენი	
47	ქორი	Accipiter gentilis	მობინადრე/	
48	მაქცია	Jynx torquilla	გადამფრენი	
49	რუხი ყვავი	Corvus corone	მობინადრე	

რეფტილიების, ამფიბიებისა და თევზების სახეობები შესაბამისად მოცემულია ცხრილებში: 3; 4 და 5.

რეპტილიები (Reptilia)

ცხრილი №3

№	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება
1	ველის გველგესლა	Vipera ursinii
2	ქართული ხვლიკი	Darevskia rudis
3	ჩვეულებრივი ანკარა	Natrix natrix

ამფიბიები (Amphibia)

ცხრილი №4

№	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება
1	კავკასიური გომბეშო	Bufo verrucosissimus

თევზები (Pisces)

ცხრილი №5

№	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1	მდინარის კალმახი	Salmo fario	ნითელი ნუსხა

სავარგულში წიფლნარების კორომებს უკავიათ 1383.5 ჰა, ანუ ტერიტორიის 55.46%, მუხნარების კორომებს უკავიათ 482 ჰა ფართობი, ანუ ტერიტორიის 24.4%, თხილნარებს 3 ჰა - 0.18%, რცხინლარებს 365.7 ჰა - 14.3%, ვერხვნარებს 12.5 ჰა - 0.8%, ველობებს 43.1 ჰა - 8%, სხვა ფოთლოვანებს 19 ჰა - 1.86%, წყლებს 16.2 ჰა - 1%.

ზემოთ ნახსენები ტყეები წარმოადგენენ ძირითად შესაფერის საბინადრო სავარგულებს აქ არსებული *სანადირო ცხოველების* სახეობებისათვის, როგორცაა: შველი, კურდღელი, კლდის კვერნა, მაჩვი, მელა, მგელი.

შველი - საბინადრო შესაფერისი სავარგულია ფართობის მთელი ტერიტორია.

კურდღელი - საბინადროდ ვარგისია: წიფლნარი, მუხნარები, ვერხვნარები, ბუჩქნარები, ველობები, სახნავები, ბაღები, ხეები და ხრამები, კლდინი ნაშალები.

მგელი - საბინადრო შესაფერისი სავარგულია ფართობის მთელი ტერიტორია. მელა - საბინადრო შესაფერისი სავარგულია ფართობის მთელი ტერიტორია. მაჩვი - საბინადრო შესაფერისი სავარგულია წიფლნარები, აგრეთვე ჭალისპირა თხმელნარები, პანტიანები, ველობები და კულტურები.

კლდის კვერნა - საბინადრო შესაფერისი სავარგულია ფართობის მთელი ტერიტორია.

ტყის ქათამი - საბინადროდ შესაფერისია ტყის ქვედა ზოლი.

ქედანი, გულიო (ან გვიძინი), გვრიტი - საბინადრო შესაფერისი სავარგულია ტყის ქვედა სარტყელი.

დსკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სამონადირეო მეურნეობა „ჰანტინგ ტურ ჯორჯია“-ს ბიო-ეკოსისტემა ზოგადად მდიდარია ფაუნით და მათ შორის სანადირო ობიექტების სახეობებით.

ბუნებრივი გეოგრაფიული მდებარეობა და არსებული ეკოსისტემა, ადგილზე შექმნილი ინფრასტრუქტურა (მისასვლელი გზები, მოსასვენებელი ადგილები და სხვ.) სწორი წარმოებისას უზრუნველყოფს ამ ტერიტორიის და ბიომრავალფეროვნების მდგრად განვითარებას, რაც სწორი მენეჯმენტის და ხელშეწყობის პირობებში ქმნის სამონადირეო-სათევზაო საერთაშორისო ტურიზმის აქტიური განვითარების პერსპექტივებს.

ლიტერატურა

1. საქართველოს წითელი ნუსხა - http://www.zoo.ge/index.php?page_id=94.
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმავად (სახელმძღვანელო) თბილისი, 2019, 88 გვ.
3. ნინო შარაშენიძე. ტურიზმი და ტუროპერატორი ს(ახელმძღვანელო), თბილისი 2018; 141 გვ.
4. არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე). ბიოეთიკა: გენეზისი, არსი, მერმისი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი თბილისი 2012 Archimandrite A, 549 გვ.
5. საქართველოს ფაუნა. ნეკრესი, თბილისი - 2019, 81 გვ.
6. ნინო პავლიაშვილი. მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია, თბილისი, 2018, 89 გვ.
7. ია იაშვილი. საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია (სახელმძღვანელო), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 334 გვ.
8. გიორგი შუბლაძე, ლარისა დოლიკაშვილი. ტურიზმის მენეჯმენტი (სახელმძღვანელო) საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, 313 გვ.

**სამონადირეო მეურნეობა შპს „ჰანტიუნგ ტურ ჯორჯია“-ს
ფაუნის ეკოსისტემის ღახასიათება**

ვასილ ღლიღვაშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია:

სტატიაში აღნიშნულია, რომ მსოფლიო გარემო განიცდის დიდ ზეწოლას ადამიანის ზემოქმედების გამო. რის გამოც ცხოველური სამყაროს ბევრი სახეობა გადაშენდა, ხოლო ბევრიც გადაშენების პირას დგას.

საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კულტურული სამონადირეო მეურნეობა წარმოჩინდება ბუნებრივი ეკოსისტემების გადარჩენის ერთ ერთ ალტერნატიულ გზად. ამდენად ამ საკითხთა რეგულაციაში უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებული როლი სამონადირეო მეურნეობების სწორად განვითარებას დაეკისრა.

საკვანძო სიტყვები: ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემა, სამონადირეო ტურიზმი, განვითარება, პერსპექტივა

**HUNTING FARM LTD “HUNTING TOUR GEORGIA”-S CHARACTERIZATION OF
FAUNA ECOSYSTEM**

Vasil Ghlighvashvili

Doctor of Agriculture Sciences, Professor, Georgian Technical University

Abstract

The article notes that the world environment is under great pressure due to human impact. Which is why many species of wildlife are extinct, and many are on the verge of extinction.

International practice shows that cultural hunting farming is emerging as one of the alternative ways of saving natural ecosystems. Thus, a special role in the regulation of these issues in recent decades has been assigned to the proper development of hunting farms.

The article focuses on the study of the number of animals, birds and reptiles living on the territory of the hunting farm "Hunting Tour Georgia" and their sustainable maintenance and development. It is important that in order to comprehensively study the above issues, in 2021 a cooperation agreement (memorandum) was signed between the Georgian Technical University and Hunting Tour Georgia, the purpose of which was to establish business, management, tourism, etc. of the University. Involvement of students in the Master's and Doctoral educational programs of the direction in scientific research.

In conclusion, the correct production of processes ensures the sustainable development of biodiversity in this area, which will create the prospect of active development of international hunting-fishing tourism.

Key words: biodiversity, ecosystem, hunting tourism, development, perspective